

ქალაქ ქუთაისში, ცახელის ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის
N7 ბინაზე, მოქალაქეების მარინე და დავით ქუთათელაძეებისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ცახელის ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის N7 ბინაში მცხოვრები მოქალაქეების მარინე ქუთათელაძის, დავითი ქუთათელაძის წარმომადგენლის დავითი ბზიკაძის განცხადება /2013 წლის 06.08 N8-8090/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ცახელის ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის N7 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქეების მარინე და დავითი ქუთათელაძეების სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ცახელის ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის N7 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქეებს მარინე და დავითი ქუთათელაძეებს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, ცახელის ქუჩა N7 საცხოვრებელი სახლის N7 ბინაზე /საერთო ფართობი 78,54 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 40,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 24,33 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 14,21 კვ.მ./ მოქალაქეების მარინე და დავითი ქუთათელაძეების სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

დ.კოპალიანი